საქართველოს პარლამენტი

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-მაისის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
ივნისი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 10,104.0 მლნ ლარი	86.3% 6 თვის გეგმის	41.1% წლიური გეგმის
გადასახდელები - 9,858.5 მლნ ლარი	83.1% 6 თვის გეგმის	39.4% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 245.5 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,251.9 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -91.8 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 10,104.0 მლნ ლარს, წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 41.1%-ს და 6 თვის გეგმის[1] (11,710.5 მლნ ლარი) 86.3%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,027.0 მლნ ლარით (11.3%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2024 წლის 5 თვეში **გადასახდელების** შესრულება 9,858.5 მლნ ლარს, წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 39.4%-ს და 6 თვის გეგმის (11,869.4 მლნ ლარი) 83.1%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 5 თვის მაჩვენებელს 1,639.5 მლნ ლარით (19.9%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტების შესრულებას რაც შეეხება, 6 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება შემოსავლების (87.2%), არაფინანსური აქტივების კლებისა (84.6%) და ფინანსური აქტივების კლების (79.5%) მაჩვენებლები, ხოლო ვალდებულებების ზრდის კომპონენტი შედარებით დაბალი შესრულების მაჩვენებლით გამოირჩევა და 6 თვის გეგმის 77.7%-ს შეადგენს.

გადასახდელების კომპონენტების შესრულებასთან დაკავშირებით, 6 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს ხარჯებისა (82.5%) და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტებს (87.3%). გადაჭარბებით გამოირჩევა ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი (6 თვის გეგმის 153.9%), ვალდებულებების კლების კომპონენტს კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს (6 თვის გეგმის 74.5%).





[1] 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,577.3 მლნ ლარს გაუტოლდა. 5 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 245.5 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 ივნისისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,822.8 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 5 თვეში 1,251.9 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -91.8 მლნ ლარი შეადგინა.





გადასახადების შესრულებამ იანვარ-მაისში 8,562.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6 თვის გეგმის 91.1%-ს და წლიური გეგმის 44.8%-ს შეადგენს. 6 თვის გეგმის მიმართ ყველა საგადასახადო შემოსავალი მობილიზების კარგი დონით ხასიათდება და 79.4%-93.1%-ის ფარგლებში მერყეობს, გარდა სხვა გადასახადისა, რომელიც მნიშვნელოვანი გადახრით გამოირჩევა (6 თვეში დაგეგმილია 87.0 მლნ ლარი, ფაქტობრივი მოცულობა კი 452.8 მლნ ლარს შეადგენს). წინა წელთან შედარებით გადასახადების მოცულობა გაზრდილია 1,605.9 მლნ ლარით (23.1%-ით), ძირითადად, საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად, 17.3%-იანი 50.8%-იანი და 12.5%-იანი მატების გავლენით.

ხარჯების შესრულებამ 5 თვეში 7,865.5 მლნ ლარი შეადგინა, 6 თვის გეგმის 82.5% და წლიური გეგმის 41.1%. 6 თვის გეგმასთან მიმართებით, შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა პროცენტის (88.8%), სუბსიდიებისა (85.3%) და სოციალური უზრუნველყოფის (84.5%) მუხლები, კარგი შესრულებით ხასიათდება გრანტების (83.7%), შრომის ანაზღაურების (80.4%), აგრეთვე, სხვა ხარჯების (78.2%), მუხლები, შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს საქონლისა და მომსახურების (77.3%) ხარჯებს. წინა წელთან შედარებით ხარჯები 1,336.1 მლნ ლარით (20.5%-ით) გაზრდილია, ხარჯების ყველა მუხლის მატების გავლენით (მ.შ. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაზრდილია 441.2 მლნ ლარით).





დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 5 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა*	2024 წლის 5 თვის შესრულება	შესრულების % 6 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	**9,077.0**	**24,569.5**	**11,710.5**	**10,104.0**	**86.3%**	**41.1%**
შემოსავლები	**7,889.2**	**20,731.0**	**10,451.9**	**9,117.4**	**87.2%**	**44.0%**
გადასახადები	6,956.1	19,115.0	9,399.8	8,562.0	91.1%	44.8%
საშემოსავლო გადასახადი	2,333.7	6,345.1	3,160.0	2,738.2	86.7%	43.2%
მოგების გადასახადი	918.5	2,690.0	1,605.0	1,385.5	86.3%	51.5%
დღგ	2,657.4	7,388.3	3,466.8	2,988.8	86.2%	40.5%
აქციზი	769.5	2,375.0	1,010.0	940.3	93.1%	39.6%
იმპორტის გადასახადი	57.8	150.0	71.0	56.4	79.4%	37.6%
სხვა გადასახადები	219.3	166.6	87.0	452.8	520.5%	271.8%
გრანტები	136.5	266.0	136.2	129.6	95.2%	48.7%
სხვა შემოსავლები	796.6	1,350.0	916.0	425.8	46.5%	31.5%
არაფინანსური აქტივების კლება	**29.9**	**200.0**	**73.0**	**61.8**	**84.6%**	**30.9%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**120.6**	**300.0**	**220.0**	**174.9**	**79.5%**	**58.3%**
ვალდებულებების ზრდა	**1,037.2**	**3,338.5**	**965.5**	**749.9**	**77.7%**	**22.5%**
საგარეო	554.7	1,838.5	537.5	451.0	83.9%	24.5%
საშინაო	482.6	1,500.0	428.0	298.9	69.8%	19.9%
გადასახდელები	**8,219.0**	**25,030.4**	**11,869.4**	**9,858.5**	**83.1%**	**39.4%**
ხარჯები	**6,529.5**	**19,120.9**	**9,534.4**	**7,865.5**	**82.5%**	**41.1%**
შრომის ანაზღაურება	854.0	2,577.3	1,278.0	1,026.9	80.4%	39.8%
საქონელი და მომსახურება	775.8	2,232.0	1,162.2	898.8	77.3%	40.3%
პროცენტი	502.7	1,540.0	757.2	672.1	88.8%	43.6%
სუბსიდიები	355.2	1,044.9	493.9	421.4	85.3%	40.3%
გრანტები	406.8	1,513.0	737.6	617.2	83.7%	40.8%
სოციალური უზრუნველყოფა	2,718.6	7,470.4	3,737.5	3,159.8	84.5%	42.3%
სხვა ხარჯები	916.4	2,743.2	1,368.0	1,069.3	78.2%	39.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,182.9**	**4,180.6**	**1,609.0**	**1,405.5**	**87.3%**	**33.6%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**86.3**	**305.6**	**59.1**	**90.9**	**153.9%**	**29.8%**
ვალდებულებების კლება	**420.4**	**1,423.4**	**666.9**	**496.5**	**74.5%**	**34.9%**
საგარეო	407.7	1,380.6	642.1	483.8	75.4%	35.0%
საშინაო	12.6	42.7	24.7	12.7	51.3%	29.7%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**858.0**	**-460.9**	**-158.9**	**245.5**		

* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 5 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 5 თვის შესრულება	შესრულების % 6 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსავლები	**7,889.2**	**20,731.0**	**10,451.9**	**9,117.4**	**87.2%**	**44.0%**
გადასახადები	6,956.1	19,115.0	9,399.8	8,562.0	91.1%	44.8%
გრანტები	136.5	266.0	136.2	129.6	95.2%	48.7%
სხვა შემოსავლები	796.6	1,350.0	916.0	425.8	46.5%	31.5%
ხარჯები	**6,529.5**	**19,120.9**	**9,534.4**	**7,865.5**	**82.5%**	**41.1%**
შრომის ანაზღაურება	854.0	2,577.3	1,278.0	1,026.9	80.4%	39.8%
საქონელი და მომსახურება	775.8	2,232.0	1,162.2	898.8	77.3%	40.3%
პროცენტი	502.7	1,540.0	757.2	672.1	88.8%	43.6%
სუბსიდიები	355.2	1,044.9	493.9	421.4	85.3%	40.3%
გრანტები	406.8	1,513.0	737.6	617.2	83.7%	40.8%
სოციალური უზრუნველყოფა	2,718.6	7,470.4	3,737.5	3,159.8	84.5%	42.3%
სხვა ხარჯები	916.4	2,743.2	1,368.0	1,069.3	78.2%	39.0%
საოპერაციო სალდო	**1,359.8**	**1,610.1**	**917.5**	**1,251.9**	**136.4%**	**77.8%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**1,153.0**	**3,980.6**	**1,536.0**	**1,343.7**	**87.5%**	**33.8%**
ზრდა	1,182.9	4,180.6	1,609.0	1,405.5	87.3%	33.6%
კლება	29.9	200.0	73.0	61.8	84.6%	30.9%
მთლიანი სალდო	**206.8**	**-2,370.5**	**-618.5**	**-91.8**	**14.8%**	**3.9%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**823.7**	**-455.4**	**-319.8**	**161.6**	**-50.5%**	**-35.5%**
ზრდა	**944.3**	**305.6**	**59.1**	**336.5**	**569.5%**	**110.1%**
ვალუტა და დეპოზიტები	858.0			245.5		
სესხები	85.1	305.6	59.1	89.8	151.9%	29.4%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.1	0.0	0.0	1.2		
კლება	**120.6**	**760.9**	**378.9**	**174.9**	**46.2%**	**23.0%**
ვალუტა და დეპოზიტები		460.9	158.9			
სესხები	120.6	300.0	220.0	174.9	79.5%	58.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**616.9**	**1,915.1**	**298.7**	**253.4**	**84.8%**	**13.2%**
ზრდა	**1,037.2**	**3,338.5**	**965.5**	**749.9**	**77.7%**	**22.5%**
საშინაო	482.6	1,500.0	428.0	298.9	69.8%	19.9%
საგარეო	554.7	1,838.5	537.5	451.0	83.9%	24.5%
კლება	**420.4**	**1,423.4**	**666.9**	**496.5**	**74.5%**	**34.9%**
საშინაო	12.6	42.7	24.7	12.7	51.3%	29.7%
საგარეო	407.7	1,380.6	642.1	483.8	75.4%	35.0%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		

საქართველოს პარლამენტი